საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

სახმელეთო ტრანსპორტის
სააგენტო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

LAND TRANSPORT
AGENCY

0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№16
16, Vazha-pshavela ave. Tbilisi, GEO-0160, Georgia

www.lta.gov.ge
E-mail: chancellery@lta.gov.ge

ტელ/ Tel: (995 32) 2 36-55-01
ფაქსი/Fax: (995 32) 2 51-06-62

N 01/484
05/09/2022

484-01-2-202209051752

მოქალაქე მართა მხეიძეს

ქალბატონო მართა,

თქვენი 2022 წლის 05 სექტემბრის განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ პერიოდში სატვირთო გადაზიდვებისთვის განკუთვნილი ასს-ის მძღოლებს საერთაშორისო მიმოსვლის განსახორციელებლად ქვეყნის საზღვრების დატოვებაზე არანაირი შეზღუდვა არ ჰქონიათ. მონიტორინგი ხორციელდებოდა მხოლოდ იმ სატვირთო გადაზიდვებისთვის განკუთვნილი ასს-ისა მძღოლებზე, ვინც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოდიოდა.

ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სატვირთო გადაზიდვებისთვის განკუთვნილ ა.ს.ს. მძღოლებს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე უტარდებოდათ COVID 19 სწრაფი ტესტირება, რის შემდგომ მათი გადაადგილების მონიტორინგი ხორციელდებოდა სააგენტოს ქოლ-ცენტრის მეშვეობით. კერძოდ, ტრანზიტულ მიმოსვლაში მყოფ მძღოლს ქვეყნის ტერიტორია უნდა დაეტოვებინა განსაზღვრულ დროის პერიოდში. მათი დასვენების ადგილები იყო განსაზღვრული სპეციალურად მოწყობილ ადგილებზე (კვების ობიექტი, საპირფარეშო და ა.შ.)

არატრანზიტული მძღოლები სააგენტოს ქოლცენტრს წინასწარ ატყობინებდნენ მათი საცხოვრებელი ადგილის ადგილმდებარეობას, რომლის პირობები უზრუნველყოფდა მძღოლის იზოლაციას დადგენილი ვადებით და პირობებით, ხოლო თუ ასეთი არ გააჩნდათ, ხდებოდა მათი განაწილება შესაბამის

სასტუმროებში და/ან სპეციალურად მოწყობილ ტირპარკებში. ადგილმდებარეობის დატოვებისას უკავშირდებოდნენ სააგენტოს ქოლ-ცენტრს, რის შემდგომ უტარდებოდათ COVID 19 ტესტირება.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე

პასუხისმგებელი პირი ირინე გიორგობიანი